



აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო
- აკრედიტაციის ცენტრი
მის: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42ა

აკრედიტაციის ცენტრის შემფასებელთა
ტრენინგის, კვალიფიკაციის მინიჭების და
შენარჩუნების პროცედურა

MP-04

გვერდების რაოდენობა: 1/55
გამოცემა: 3
გადახედვა: 1
სტატუსი: 27.01.2017

აკრედიტაციის ცენტრის შემფასებელთა ტრენინგის, კვალიფიკაციის მინიჭების და შენარჩუნების პროცედურა

შემუშავებულია:

გადახედილია:

დამტკიცებულია:

გიორგი შიოლაშვილი
მთავარი სპეციალისტი

მალხაზ ხარებავა
ხარისხის მენეჯერი

პაატა გოგოლიძე
გენერალური დირექტორი

აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი მის: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42ა	აკრედიტაციის ცენტრის შემფასებელთა ტრენინგის, კვალიფიკაციის მინიჭების და შენარჩუნების პროცედურა MP-04	გვერდების რაოდენობა: 2/55 გამოცემა: 3 გადახედვა: 0 სტატუსი: 25.08.2016
---	---	---

შინაარსი

1.	ტერმინები და განმარტებები	6
2.	შემფასებლების კრიტერიუმები	8
2.1	წამყვანი და ტექნიკური შემფასებლებისა და ექსპერტების უნარ-ჩვევები (სსტ ისო 19011-ის შესაბამისად)	8
2.2	საქმის მენეჯერის, წამყვანი და ტექნიკური შემფასებლებისა და ექსპერტების უნარები და ცოდნა	8
2.2.1	ზოგადი მოთხოვნები	8
2.2.2	დამატებითი მოთხოვნები წამყვანი შემფასებლებისათვის	9
2.2.3	დამატებითი მოთხოვნები ტექნიკური შემფასებლებისათვის	9
3.	შერჩევა და საწყისი კვალიფიკაცია	10
4.	საქმის მენეჯერების, წამყვანი და ტექნიკური შემფასებლების განათლება	10
4.1	სამუშაო გამოცდილება	10
4.2	ტრენინგი	10
4.2.1	საქმის მენეჯერებისათვის	10
4.2.2	ტექნიკური შემფასებლებისათვის	10
4.2.3	წამყვანი შემფასებლებისათვის	10
4.2.4	ექსპერტებისათვის	11
4.2.5	ტრენინგების შერჩევა	11
4.2.6	გამოცდა	11
4.2.7	გამოცდის სერტიფიკატი	11
4.3	გამოცდილება შეფასების სფეროში	11
4.3.1	ტექნიკური შემფასებლებისათვის	11
4.3.2	წამყვანი შემფასებლებისათვის	11
4.3.3	შეფასების სფეროში გამოცდილების დოკუმენტაცია	11
5.	გამოცდილების გაგრძელება	12
5.1	გამოცდილების გაცვლა	12
5.2	მონიტორინგი	12
დანართი I. სასწავლო კურსის მონახაზი პირველადი კვალიფიკაციისათვის		12
1.	ძირითადი სასწავლო კურსი ყველა შემფასებლისათვის	12
2.	სპეციალური სასწავლო კურსი ლაბორატორიების შეფასებისათვის (სსტ ისო/იეკ 17025)	14
3.	სპეციალური სასწავლო კურსი ინსპექტირების ორგანოს შეფასებისათვის (სსტ ისო/იეკ 17020)	16
4.	სპეციალური სასწავლო კურსი პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანოს შეფასებისათვის (სსტ ისო/იეკ 17065)	18
5.	სპეციალური სასწავლო კურსი მენეჯმენტის სისტემის სერტიფიკაციის ორგანოების შეფასებისათვის (ისო/იეკ 17021)	20
6.	სპეციალური სასწავლო კურსი პერსონალის სერტიფიკაციის ორგანოს შეფასებისათვის (სსტ ისო/იეკ 17024)	21
7.	სპეციალური სასწავლო კურსი წამყვანი შემფასებლისათვის	23
8.	სასწავლო კურსი საქმის მენეჯერების და ექსპერტებისათვის	24
დანართი II. კვალიფიკაციის პროცესი		26
1.	კანდიდატების შერჩევა	26
2.	სასწავლო კურსი	26
3.	დოკუმენტაცია	26
4.	შემფასებლად დამტკიცება	26
ფორმა F-MP-04-01. განაცხადის ფორმა საკ-ის შემფასებლობის კანდიდატებისათვის		27
ფორმა F-MP-04-02. შემფასებლის კვალიფიკაციის მინიჭების მასტერ-ფურცელი		30
დანართი III. ტრენინგების კვალიფიკაცია		32
ფორმა F-MP-04-03. შემფასებლობის კანდიდატის ზედამხედველობის ანგარიში		33



აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი მის: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42ა	აკრედიტაციის ცენტრის შემფასებელთა ტრენინგის, კვალიფიკაციის მინიჭების და შენარჩუნების პროცედურა MP-04	გვერდების რაოდენობა: 3/55 გამოცემა: 3 გადახედვა: 0 სტატუსი: 25.08.2016
---	--	---

დანართი IV. კომპეტენციის სფეროები	35
ფორმა F-MP-04-04. კომპეტენტურობის დამადასტურებელი სერტიფიკატი	42
ფორმა F-MP-04-05. კვალიფიკაციის მინიჭების სერტიფიკატი	43
დანართი V. გენერალური შეთანხმება საკ-სა და შემფასებელს შორის	44
დანართი VI. პერსონალის ფაილის ჩამონათვალი	45
დანართი VII. საგამოცდო დებულება	47
ფორმა F-MP-04-06 აუცილებელი საორგანიზაციო საკითხების ჩამონათვალი ტრენინგებისა და სემინარებისათვის	48

აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი მის: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42ა	აკრედიტაციის ცენტრის შემფასებელთა ტრენინგის, კვალიფიკაციის მინიჭების და შენარჩუნების პროცედურა MP-04	გვერდების რაოდენობა: 4/55 გამოცემა: 3 გადახედვა: 0 სტატუსი: 25.08.2016
---	---	---

1. მიზანი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს იმ პირების მომზადებისა და კვალიფიკაციის პროცედურას, რომლებსაც ეძლევათ უფლება აკრედიტაციის ცენტრის შემფასებელი ჯგუფის შემადგენლობაში შეაფასონ შშო-ების შესაბამისობა სსტ ისო/იეკ 17025:2010, სსტ ისო/იეკ 17065:2012/2014, სსტ ისო 15189:2012/2015, სსტ ისო 17020:2012/2013, სსტ ისო/იეკ 17024:2012/2014, ისო/იეკ 17021:2011/2014 სტანდარტებთან.

2. შესაბამისი რეგულაციები

პროცედურა დაფუძნებულია შემდეგ საერთაშორისო სტანდარტებზე და სახელმძღვანელო დოკუმენტებზე:

- სსტ ისო/იეკ 17011 „შესაბამისობის შეფასება. ზოგადი მოთხოვნები აკრედიტაციის ორგანოებისადმი, რომლებიც აკრედიტაციას უკეთებენ ორგანოებს შესაბამისობის შეფასებაზე“;
- ILAC G11:07/2006 Guidelines on Assessor Qualification and Competence of Assessors and Technical Experts;
- ILAC-G3:08/2012 Guidelines for Training Courses for Assessors Used by Accreditation Bodies;
- სსტ ისო 19011 „სახელმძღვანელო მითითებები ხარისხისა ან გარემოს მენეჯმენტის სისტემების აუდიტისათვის“;
- IAF-MD 20 Generic Competence for AB Assessors: Application to ISO/IEC 17011.

3. გამოყენებული აბრევიატურა

- სმ - საქმის მენეჯერი
- წშ - წამყვანი შემფასებელი
- ტშ - ტექნიკური შემფასებელი
- ექ - ექსპერტი
- ასუ - ადმინისტრაციული სამსახური
- გდ - გენერალური დირექტორი
- ხმ - ხარისხის მენეჯერი
- შშო - შესაბამისობის შეფასების ორგანო

4. ტერმინების და განმარტებები

წინამდებარე პროცედურაში გამოყენებულია სსტ ისო 17000 სერიის სახელმძღვანელოს ტერმინები და განმარტებები.

4.1 საქმის მენეჯერი - აკრედიტაციის ცენტრის საშტატო თანამშრომელი, რომელიც პასუხისმგებელია განაცხადის ადმინისტრაციულ მართვაზე საქმის მთლიანი მსვლელობის განმავლობაში. ის განმცხადებელს განუმარტავს აკრედიტაციის ცენტრის პოლიტიკას, წესებსა და პროცედურებს, ასევე შეუძლია შეასრულოს წამყვანი შემფასებლის და ტექნიკური შემფასებლის

აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი მის: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42ა	აკრედიტაციის ცენტრის შემფასებელთა ტრენინგის, კვალიფიკაციის მინიჭების და შენარჩუნების პროცედურა MP-04	გვერდების რაოდენობა: 5/55 გამოცემა: 3 გადახედვა: 0 სტატუსი: 25.08.2016
---	---	---

ფუნქციები, თუ მას მინიჭებული აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია წინამდებარე პროცედურის შესაბამისად.

4.2 წამყვანი შემფასებელი - შემფასებელი, რომელსაც აკისრია სრული პასუხისმგებლობა განსაზღვრულ შეფასების საქმიანობაზე.

შენიშვნა 1: წამყვან შემფასებელს შეუძლია ასევე შეაფასოს შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების მენეჯმენტის სისტემა.

შენიშვნა 2: პასუხისმგებელია შეფასების ჯგუფის წევრების შერჩევაზე, შეფასების დროს ინფორმაციის მოძიებაზე და ა.შ. წამყვანი შემფასებელი შემფასებელთა ჯგუფის (2 ან მეტი წევრი), ტექნიკური შემფასებლების ან/და ექსპერტების უფროსია. თუ აკრედიტაციის ორგანო თვლის, რომ ტექნიკურ შემფასებლებს გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია, მათ შეუძლიათ წამყვანი შემფასებლის მოვალეობების შესრულება. თუ საკ-ის მიერ წამყვანი შემფასებლის კომპეტენცია დადასტურებულია შესაბამის ტექნიკურ სფეროებში, ამ შემთხვევაში მას შეუძლია შეითავსოს ტექნიკური შემფასებლის ან/და ექსპერტის ფუნქციები.

4.3 ტექნიკური შემფასებელი - აკრედიტაციის ცენტრის მიერ დანიშნული პირი, რომელიც მარტო ან შეფასების გუნდთან ერთად ახორციელებს შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების შეფასებას.

შენიშვნა 3: თუ საკ-ის მიერ ტექნიკური შემფასებლის კომპეტენცია დადასტურებულია შესაბამის ტექნიკურ სფეროებში, ამ შემთხვევაში მას შეუძლია შეითავსოს ექსპერტის ფუნქციები შეფასების დროს.

4.4 ექსპერტი - აკრედიტაციის ცენტრის მიერ დანიშნული პირი, რომელსაც შესაფასებელ აკრედიტაციის სფეროში აქვს სპეციფიური ცოდნა და გამოცდილება. ის არის გუნდის წევრი, მაგრამ არ ითვლება შემფასებლად. ექსპერტი მასზე დაკისრებულ მოვალეობებს ასრულებს წამყვანი/ტექნიკური შემფასებლის ზედამხედველობის ქვეშ. ექსპერტისთვის არ არის სავალდებულო შეფასების/აუდიტის გამოცდილება. ის მონაწილეობს შემფასებელთა ჯგუფში სპეციფიკურ საკითხზე ექსპერტული ინფორმაციის უზრუნველყოფის მიზნით.

შენიშვნა 4: ექსპერტები, რომლებმაც არ იცნობენ აკრედიტაციაში გამოსაყენებელი სტანდარტები (სსტ ისო/იეკ 17025:2010, სსტ ისო 15189:2015, სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013, სსტ ისო/იეკ 17021:2011/2014 ისო/იეკ 17065:2012:2014 ან სსტ ისო/იეკ 17024:2012/2014, და ა.შ.), აკრედიტაციის ცენტრის მიდგომები და პროცედურები, შშო-ს შეფასების დროს უნდა იყვნენ წამყვანი შემფასებლის ზედამხედველობის ქვეშ.

შეფასებაში მონაწილე პირების ფუნქციების შეჯამება

#	აკრედიტაციის ცენტრის ფუნქციები	სმ	წმ	ტმ	ექ	ასუ	გდ
1	აკრედიტაციის შესახებ ინფორმაციის მიწოდება	X				X	
2	აკრედიტაციაზე განაცხადისა და თანდართული დოკუმენტაციის სისრულის	X				X	

აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი მის: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42ა	აკრედიტაციის ცენტრის შემფასებელთა ტრენინგის, კვალიფიკაციის მინიჭების და შენარჩუნების პროცედურა	გვერდების რაოდენობა: 6/55 გამოცემა: 3 გადახედვა: 0 სტატუსი: 25.08.2016
MP-04		

#	აკრედიტაციის ცენტრის ფუნქციები	სმ	წმ	ტმ	ექ	ასუ	გდ
	ანალიზი						
3	აკრედიტაციაზე განაცხადის რეგისტრაცია					X	
4	რესურსების ანალიზი	X					
5	გუნდის წევრების შერჩევა	X					
6	შემფასებელთა გუნდის დამტკიცება (კონტრაქტის დადება)						X
7	ტექნიკური შემფასებლების ტრენინგი, ექსპერტების თათბირი	X	X				X
8	გუნდის წევრების შეთანხმება შესაბამისობის შემფასებელ ორგანოსთან	X	X				
9	შესაბამისობის შემფასებელ ორგანოსთან კონტრაქტის მომზადება	X	X				
10	დოკუმენტების ანალიზი		X	X	X		
11	შეფასების პროგრამის მომზადება		X				
12	წამყვანი ღონისძიებები შეფასების გუნდის წევრებისათვის		X				
13	შეფასების ჯგუფის ტექნიკურ საკითხებზე დახმარების გაწევა				X		
14	შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს ხარისხის სისტემის შეფასება		X				
15	შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს ტექნიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება			X	X		
16	შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს შეფასების ანგარიშის მომზადება		X	X			
17	შეფასების ანგარიშის შედგენა და წარდგენა შესაბამისობის შემფასებელი ორგანოსათვის		X		(X)		
18	მაკორექტირებელი ქმედებების შეფასება		X	X			
19	შეფასების შედეგების ანალიზი						X
21	მონიტორინგის დაგეგმვა	X					

5. შემფასებლების კრიტერიუმები

5. ექსპერტების პიროვნული ჩვევები (სსტ ისო 19011-ის შესაბამისად):

- საღი აზროვნება, ალტერნატიული იდეებისა და შეხედულებების განხილვის უნარი;
- ანალიტიკური აზროვნება, დამაჯერებელი;
- პრობლემის რეალისტურად აღქმის უნარი, რათა დაინახოს რთული ოპერაციები ფართო პერსპექტივაში და გაიგოს ორგანიზაციაში შემავალი თითოეული ერთეულის როლი;
- მნიშვნელოვანი საკითხების ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხებისგან გამიჯვნის უნარი;
- ეთიკური - სამართლიანი, გულწრფელი, პატიოსანი და ფრთხილი;
- დიპლომატიური, ტაქტიანი;
- დაკვირვებულობა;
- თავდაჯერებულობა - მიზნების მიღწევაზე ფოკუსირებული;
- გადამწყვეტი - გადაწყვეტილებების მიღება დროულად ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის გზით;
- გუნდურად, დამოუკიდებელად მუშაობის უნარი;

აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი მის: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42ა	აკრედიტაციის ცენტრის შემფასებელთა ტრენინგის, კვალიფიკაციის მინიჭების და შენარჩუნების პროცედურა MP-04	გვერდების რაოდენობა: 7/55 გამოცემა: 3 გადახედვა: 0 სტატუსი: 25.08.2016
---	---	---

- მიიღოს და შეაფასოს ობიექტური მტკიცებულება სამართლიანად;
- დარჩეს შეფასების მიზნის ერთგული გარემოებებისა და სარგებლის მიღების სურვილის მიუხედავად;
- ობიექტური შეფასების მიღების მიზნით თანამშრომლებთან ურთიერთქმედების საუკეთესო გზების პოვნის უნარი;
- იმ ქვეყნის ნაციონალური კანონმდებლობის ცოდნა, რომელშიც ტარდება შეფასება;
- შეფასების პროცესისათვის სრული ყურადღების დათმობა;
- სტრესულ სიტუაციებში ეფექტურად რეაგირების უნარი;
- მივიდეს ზოგადად მისაღებ დასკვნებამდე, რომლებიც დაფუძნებულია ობიექტურ მტკიცებულებაზე, რომელიც მიღებულია შეფასების დროს;
- თუ გადაწყვეტილების შეცვლის მოთხოვნა არ ეფუძნება ობიექტურ მტკიცებულებას, დარჩეს დასკვნის ერთგული, ზეწოლის მიუხედავად.

5.2 შემფასებლების, გადაწყვეტილების მიმღებთა და მონიტორინგის ჩამტარებელთა უნარები და ცოდნა

5.2.1 ზოგადი მოთხოვნები

- შემფასებელს, გადაწყვეტილების მიმღებს და მონიტორინგის ჩამტარებელ პირს უნდა ესმოდეთ აკრედიტაციაში გამოსაყენებელი სტანდარტები (სსტ ისო/იეკ 17025, სსტ ისო/იეკ 17020, ისო/იეკ 17021, სსტ ისო/იეკ 17024, სსტ ისო 15189, სსტ ისო/იეკ 17065 და ა.შ). შემფასებლებმა სათანადოდ უნდა მოახდინონ კრიტერიუმების ინტერპრეტაცია და გამოყენება შეფასების ფაქტობრივ სიტუაციებში;
- შემფასებელი უნდა ფლობდეს ცოდნას, რათა გამოიყენოს შეფასების პრინციპები, პრაქტიკა და მეთოდები შეფასების ფაქტიურ და სხვა სიტუაციაში. ამავდროულად, უზრუნველყოს შეფასებების თანმიმდევრული და სისტემატური ჩატარება. ცოდნა და უნარები უნდა მოიცავდეს შეფასების ყველა ეტაპს, მათ შორის: დაგეგმვას, მომზადებას შესრულებას, ანგარიშგებას, შეფასების საკითხზე მეთვალყურეობას, წინა შეფასებებში შეუსაბამოების აღმოფხვრის შემოწმებასა და შეფასების დასრულებას;
- შემფასებელი უნდა ფლობდეს შეფასების ტექნიკას, როგორცაა: გასაუბრება, აუდიტი, დროის მენეჯმენტი, ზეპირი და წერიტი კომუნიკაციის უნარი, შეფასების მტკიცებულებების შეგროვება, შეფასების დაკვირვებების ანალიზი და სათანადო დასკვნების გაკეთება, შეფასების ინფორმაციის კონფიდენციალურობის და დაცულობის უზრუნველყოფა;
- შემფასებლებს უნდა ჰქონდეთ ზოგადი ცოდნა ხარისხის მენეჯმენტსა და პროცესებში, რომლებიც შეესაბამება შესაფასებელ შესაბამისობის შემფასებელ ორგანოს;
- შემფასებელს უნდა ჰქონდეს შესაფასებელი ორგანოს ზომის, სტრუქტურის, ფუნქციებისა და ურთიერთობების, ბიზნეს პროცესებისა და დაკავშირებული ტერმინოლოგიის, პერსონალის კულტურული და სოციალური წეს-ჩვეულებების აღქმის უნარი;
- შემფასებელს შეიძლება დასჭირდეს ტექნიკური ცოდნა შესაფასებელი ორგანოს ხელსაწყოების გამოყენების ეფექტიანობის დასადგენად.

5.2.2 დამატებითი მოთხოვნები წამყვანი შემფასებლისათვის

წამყვან შემფასებლებს უნდა გააჩნდეთ დამატებითი ცოდნა და უნარები, მათ შორის:

- საჭიროების შემთხვევაში, შემფასებელთა ჯგუფის წევრების შერჩევის პროცესში მონაწილეობის მიღება;

აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი მის: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42ა	აკრედიტაციის ცენტრის შემფასებელთა ტრენინგის, კვალიფიკაციის მინიჭების და შენარჩუნების პროცედურა MP-04	გვერდების რაოდენობა: 8/55 გამოცემა: 3 გადახედვა: 0 სტატუსი: 25.08.2016
---	---	---

- განაცხადთან ერთად წარდგენილი დოკუმენტაციის განხილვის ორგანიზება;
- შეფასების გეგმის მომზადება და რესურსების ეფექტური გამოყენება შეფასების დროს;
- შეფასების გუნდის ლიდერობა;
- შემფასებლებისა და ტექნიკური ექსპერტების მიმართულებებითა და სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა;
- კონფლიქტების მოგვარება და მისი თავიდან აცილება;
- შეფასებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება;
- შემფასებელთა ჯგუფის ლიდერობა დასკვნების მისაღებად;
- შემფასებელთა ჯგუფის წარდგენა შესაფასებელ შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს მენეჯმენტისათვის;
- შეფასების ანგარიშის შემუშავება, კოორდინირება და წარდგენა იმგვარად, რომ აკრედიტაციის ორგანომ მიიღოს გადაწყვეტილებები.

დამატებითი მოთხოვნები პერსონალის სერტიფიკაციის შემფასებლებისათვის/შეფასების ჯგუფისათვის:

- პერსონალის სერტიფიკაციის სქემების პროცესის ვალიდაციის ცოდნა;
- პერსონალის წერითი, ზეპირი და პრაქტიკული საკითხების ცოდნა;
- პერსონალის რესერტიფიკაციის პროცესის ცოდნა.

5.2.3 დამატებითი მოთხოვნები ტექნიკური შემფასებლებისათვის

ტექნიკურ შემფასებლებს უნდა ჰქონდეთ სპეციფიკური ცოდნა, რომელიც დაკავშირებულია აკრედიტაციის სფეროს ნაწილთან ან მთლიან სფეროსთან, როგორიცაა:

- შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების პროცედურებისა და მოქმედებების სათანადო შესრულება;
- საჭიროების შემთხვევაში გაზომვების განუსაზღვრელობის შეფასება;
- საჭიროების შემთხვევაში კვალიფიკაციის გაზომვების შედეგების ანალიზი;
- გამოცდის, დაკალიბრების, ინსპექტირების ან სერტიფიკაციის მოთხოვნები და მათი ტექნიკური საფუძველი;
- აკრედიტაციის სფეროსთან (ფორმირების წესები, კოდიფიკატორები და სტანდარტები) დაკავშირებული სპეციფიკური ზოგადი მოთხოვნები;
- გამოცდასთან, დაკალიბრებასთან, ინსპექტირებასთან, სერტიფიკაციასთან და სხვა დაკავშირებულ პროცესებთან დაკავშირებული ორგანიზაცია და ტერმინოლოგია;
- ტექნიკური შემფასებლები, რომლებიც აფასებენ ინსპექტირების ან სერტიფიკაციის ორგანოს უნდა ფლობდნენ კონკრეტულ ცოდნას ინსპექტირების ან სერტიფიკაციის ორგანოს საქმიანობის ფარგლებში, აკრედიტაციის სასურველ სფეროში, როგორიცაა:
 - I. ინსპექტირების ან სერტიფიკაციის მოთხოვნებისა და მეთოდების ცოდნა;
 - II. ანგარიშების მომზადება ინსპექტირების ან სერტიფიკაციის პროცესებსა და ტექნიკაზე;
 - III. სერტიფიკაციის ან ინსპექტირების ორგანოს პროდუქციისა და პროცესების ცოდნა;
 - IV. მოქმედი კანონმდებლობისა და უსაფრთხოების პრაქტიკის ცოდნა;
 - V. შერჩევის მეთოდების ცოდნა;
 - VI. შეფასების, მათ შორის: პროფესიული გადაწყვეტილების შეფასების მეთოდების ცოდნა.

6. შერჩევა და საწყისი კვალიფიკაცია

აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი მის: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42ა	აკრედიტაციის ცენტრის შემფასებელთა ტრენინგის, კვალიფიკაციის მინიჭების და შენარჩუნების პროცედურა MP-04	გვერდების რაოდენობა: 9/55 გამოცემა: 3 გადახედვა: 0 სტატუსი: 25.08.2016
---	---	---

კრიტერიუმები, რომლებიც გამოიყენება შემფასებელთა შერჩევისთვის უნდა იყოს შესრულებაზე ორიენტირებული და საკმარისად მოქნილი იმისათვის, რომ შეფასდეს შემფასებლის კანდიდატის მონაცემები, როგორცაა: განათლება, სამუშაოს ცოდნა, მუშაობის გამოცდილება, ტრენინგები, შეფასების გამოცდილება, კომუნიკაბელურობა და აუდიტის უნარი. საკ-ი იყენებს ამ კრიტერიუმების ერთობლიობას, შემფასებლის კანდიდატების მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენისთვის. კვალიფიკაციის პროცესის დამატებითი დეტალები მოცემულია დანართში II.

7. საქმის მენეჯერების, წამყვანი და ტექნიკური შემფასებლების განათლება

საკ-ი ითხოვს უმაღლეს განათლებას. ზოგ შემთხვევაში, ეს შეიძლება შეიცვალოს მრავალწლიანი გამოცდილებით ექსპერტიზის შესაბამის სფეროში, ან სათანადო ოფიციალური კვალიფიკაციით.

8. სამუშაო გამოცდილება

8.1 საქმის მენეჯერებისა და წამყვანი შემფასებლებისათვის

საკ-ი ითხოვს არანაკლებ 4 წლიან სამუშაო გამოცდილებას სფეროში, რომელიც დაკავშირებულია ხარისხის მართვის მენეჯმენტთან ან ნებისმიერი შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს საქმიანობასთან.

8.2 ტექნიკური შემფასებლებისთვის

საკ-ი ითხოვს, როგორც მინიმუმ 4 წლიან გამოცდილებას ლაბორატორიულ გამოცდაში, დაკალიბრებაში, ინსპექტირებაში ან სერტიფიკაციაში, რომლიდანაც 2 უნდა იყოს შეფასების სფეროში. თუ კანდიდატებს არ აქვთ უმაღლესი განათლება შესაბამის სფეროში, მაშინ მათ როგორც მინიმუმ უნდა გააჩნდეთ 5 წლიანი სამუშაო გამოცდილება.

8.3 ექსპერტებისთვის

საკ-ი ითხოვს, როგორც მინიმუმ 4 წლიან გამოცდილებას შესაფასებელ სფეროში.

9. ტრენინგი

9.1 საქმის მენეჯერებისათვის/წამყვანი შემფასებლებისათვის

- საკ-ი ითხოვს ძირითადი და სპეციალური სასწავლო კურსის (კონკრეტული აკრედიტაციის სტანდარტის მიხედვით) წარმატებით დასრულებას, რომელიც მოცემულია **დანართში I**.
- კომპეტენციის სფეროს გაფართოების შემთხვევაში, კანდიდატმა უნდა გაიაროს დამატებითი ტრენინგი შესაბამისი სტანდარტის მიხედვით. ტრენინგის დასრულების შემდეგ, საბოლოო ტესტირების წარმატებით გავლის შემთხვევაში (70%-ზე მეტი შედეგით) გაიცემა სერტიფიკატი - F-MP-04-04.
- საერთაშორისო პროექტების, საერთაშორისო აკრედიტაციის ორგანიზაციების ან/და MLA/MRA ხელმძღვრების მიერ განხორციელებული ტრენინგები სპეციფიკური სტანდარტების მიხედვით ჩაითვლება რელევანტურად შემფასებლების კვალიფიკაციისათვის.

9.2 ტექნიკური შემფასებლებისთვის

აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი მის: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42ა	აკრედიტაციის ცენტრის შემფასებელთა ტრენინგის, კვალიფიკაციის მინიჭების და შენარჩუნების პროცედურა MP-04	გვერდების რაოდენობა: 10/55 გამოცემა: 3 გადახედვა: 0 სტატუსი: 25.08.2016
--	---	--

- ა) საკ-ი ითხოვს ძირითადი და სპეციალური სასწავლო კურსის (კონკრეტული აკრედიტაციის სტანდარტის მიხედვით) წარმატებით დასრულებას, რომელიც მოცემულია **დანართში I**.
- ბ) კომპეტენციის სფეროს გაფართოების სურვილის შემთხვევაში, კანდიდატმა უნდა გაიაროს დამატებითი ტრენინგი შესაბამისი აკრედიტაციის სტანდარტის მიხედვით. ტრენინგის დასრულების შემდეგ, საბოლოო ტესტირების წარმატებით გავლის შემთხვევაში (70%-ზე მეტი შედეგით) გაიცემა სერტიფიკატი - F-MP-04-04.
- გ) საერთაშორისო პროექტების, საერთაშორისო აკრედიტაციის ორგანიზაციების ან/და MLA/MRA ხელმძღვრების მიერ განხორციელებული ტრენინგები სპეციფიკური სტანდარტების მიხედვით ჩაითვლება რელევანტურად შემფასებლების კვალიფიკაციისათვის.

9.3 ექსპერტებისათვის - საკ-ი ითხოვს **დანართი I-ში** მოცემული „გაცნობითი სასწავლო კურსი“-ს დასრულებას.

***შენიშვნა 5:** საქმის მენეჯერებს, ტექნიკურ შემფასებლებს, ექსპერტებს, რომლებსაც მონაწილეობა აქვთ მიღებული აკრედიტაციის ცენტრის, ასევე TACIS-ის, PTB (გერმანიის პროექტი „საქართველოს ხარისხის ინფრასტრუქტურის მხარდაჭერა“), TWINING-ის პროექტების და EA-ს შესაბამის ტრენინგებში ამ პროცედურის ძალაში შესვლამდე, ჩაითვლება 9.1, 9.2, 9.2, 9.3 პუნქტების დამაკმაყოფილებელ პირობად.*

10. ტრენერების შერჩევა და საგამოცდო დებულება

ტრენერები არიან სათანადო კომპეტენციის და გამოცდილების მქონე პირები. ტრენერს უნდა ჰქონდეს: გავლილი ტრენინგი ტრენერებისათვის ან/და სფეროში მუშაობის 5-ზე მეტი წლის გამოცდილება.

ზოგიერთი ტრენერი ცალკეული თემებისათვის მითითებულია **დანართი III-ში**. ტრენერებად განიხილებიან ასევე ის პირები, რომლებიც ატარებენ ტრენინგებს საერთაშორისო პროგრამების ფარგლებში. ხოლო, საგამოცდო მოთხოვნები კანდიდატების მიმართ მოცემულია „საგამოცდო დებულება“-ში - **დანართი VII**.

11. პრაქტიკული მომზადება

11.1 წამყვანი შემფასებლებისთვის

სანამ მოხდება კანდიდატის წამყვან შემფასებლად კვალიფიცირება, საკ-ის მხრიდან კანდიდატს მოეთხოვება 2 შეფასებაში მონაწილეობა. აქედან:

ა) ერთ შეფასებაზე დასწრებას დამკვირვებლის სტატუსით. კანდიდატი დუბლირებას გაუწევს შეფასების ნაწილში წამყვან შემფასებელს მისი დაკვირვების ქვეშ.

ბ) ერთ შეფასებაში მონაწილეობა წამყვანი შემფასებლის სტატუსით, წამყვანი შემფასებლის საქმიანობის დამოუკიდებლად წარმართვა და შეფასების ანგარიშის მომზადება, გამოცდილი წამყვანი შემფასებლის ზედამხედველობით (წამყვანი/ტექნიკური შემფასებლების კანდიდატის ზედამხედველობის ანგარიში F-MP-04-03).

აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი მის: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42ა	აკრედიტაციის ცენტრის შემფასებელთა ტრენინგის, კვალიფიკაციის მინიჭების და შენარჩუნების პროცედურა MP-04	გვერდების რაოდენობა: 11/55 გამოცემა: 3 გადახედვა: 0 სტატუსი: 25.08.2016
---	---	---

შენიშვნა 6: საკ-ის ყველა საშტატო თანამშრომელი, რომელსაც გააჩნია წამყვანი შემფასებლის როლი (შეფასების ჯგუფის ხელმძღვანელი), კონკრეტული აკრედიტაციის სქემის მიხედვით მუშაობის 2 წელზე მეტი გამოცდილება ამ პროცედურის ძალაში შესვლამდე, ჩაითვლება 11.1 პუნქტის დამაკმაყოფილებელ პირობად.

11.2 ტექნიკური შემფასებლებისთვის

სანამ მოხდება კანდიდატის ტექნიკურ შემფასებლად კვალიფიცირება, საკ-ი ითხოვს 2 შეფასებაში მონაწილეობას. აქედან:

ა) ერთ შეფასებაზე დასწრებას დამკვირვებლის სტატუსით. კანდიდატი დუბლირებას გაუწევს შეფასების ნაწილში ტექნიკურ შემფასებელს მისი ან წამყვანი შემფასებლის დაკვირვების ქვეშ. ექსპერტის სტატუსით შეფასებაში მონაწილეობა ასევე მიიჩნევა ამ პუნქტის დამაკმაყოფილებელ პირობად;

ბ) ერთ შეფასებაში მონაწილეობა ტექნიკური შემფასებლის სტატუსით და შეფასების ანგარიშის მომზადება საკ-ის პროცედურების თანახმად, გამოცდილი წამყვანი შემფასებლის ზედამხედველობის ქვეშ (წამყვანი/ტექნიკური შემფასებლების კანდიდატის ზედამხედველობის ანგარიში F-MP-04-03).

შენიშვნა 7: დამკვირვებლის/ტექნიკური შემფასებლის სტატუსით ყველა მონაწილეობა შეფასებაში განხორციელებული ამ პროცედურის ძალაში შესვლამდე, ჩაითვლება 11.2 პუნქტის დამაკმაყოფილებელ პირობად.

12. გამოცდილების გაგრძელება

12.1 საკ-ის შემფასებლების პროფესიული კომპეტენცია უნდა დამოწმდეს იმ სფეროში, რომლის მიხედვითაც, მათი განათლების, კვალიფიკაციისა და გამოცდილების გათვალისწინებით, მოხდება მათი მონაცემების განთავსება შემფასებლებისა და ექსპერტების ბაზაში, და შემდგომში მათი მომსახურების გამოყენება, ზემოთხსენებული სფეროს შეფასებისას. საკ-ი მათ კომპეტენციის შემოწმებისას, ითვალისწინებს ILAC G11-ის “სახელმძღვანელო შემფასებლებისა და ექსპერტების კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესახებ” მოთხოვნებს, რომლებიდანაც საკ-ი იყენებს რომელიმე მეთოდს ან მეთოდების კომბინაციას.

12.2 ყველა შემფასებელმა რეგულარულად (როგორც წესი წელიწადში ერთხელ) მონაწილეობა უნდა მიიღონ გამოცდილების გაზიარების შეხვედრაში. შეხვედრის მიზანია:

- გაუმჯობესდეს უნარები შეფასების ტექნიკაში;
- ურთიერთმისაღები გამოცდილების გაზიარება შეფასების სფეროში;
- უახლესი ინფორმაციის მიღება აკრედიტაციის პროცესის, ახალი რეგულაციებისა და აკრედიტაციის კრიტერიუმების შესახებ;
- შეფასების მიდგომა შეფასების ტექნიკასთან ჰარმონიზაციის მიზნით.

შეხვედრაში მონაწილეობის შემდეგ მონაწილეებს გადაეცემათ შესაბამისი სერტიფიკატი: F-MP-04-04.

12.3 კვალიფიკაცია განახლებული სპეციფიკური სტანდარტის მიხედვით.

აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი მის: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42ა	აკრედიტაციის ცენტრის შემფასებელთა ტრენინგის, კვალიფიკაციის მინიჭების და შენარჩუნების პროცედურა MP-04	გვერდების რაოდენობა: 12/55 გამოცემა: 3 გადახედვა: 0 სტატუსი: 25.08.2016
---	---	---

განახლებული სპეციფიკური სტანდარტის მიღების შემთხვევაში, საკ-ი მოითხოვს წამყვანი შემფასებლის მიერ სპეციფიკური ტრენინგის წარმატებით დასრულებას. ასევე, ერთ შეფასებაში მონაწილეობას წამყვანი შემფასებლის სტატუსით, წამყვანი შემფასებლის საქმიანობის დამოუკიდებლად წარმართვას და შეფასების ანგარიშის მომზადებას გამოცდილი წამყვანი შემფასებლის ზედამხედველობით (წამყვანი/ტექნიკური შემფასებლების კანდიდატის ზედამხედველობის ანგარიში F-MP-04-03). ასეთ შემთხვევაში, ზედამხედველი - წამყვანი შემფასებელი უნდა იყოს იმ წამყვანი შემფასებლების სიაში, რომლებიც კვალიფიციური იყვნენ წინა ვერსიის სპეციფიკური სტანდარტის შესაბამისად და გავლილი აქვთ ტრენინგი განახლებული სტანდარტის მიხედვით ამ პროცედურის 9.1 მუხლის თანახმად. პრაქტიკული ტრენინგის წარმატებით დასრულების შემდეგ გაიცემა სერტიფიკატი - F-MP-04-05 ამ პროცედურის 16 მუხლის თანახმად.

განახლებულ სპეციფიკურ და წინა ვერსიის სტანდარტში მცირე ცვლილებების შემთხვევაში, მისი განხილვა მოხდება გამოცდილების გაზიარების შეხვედრაზე ამ პროცედურის 12.2 მუხლის თანახმად.

13. შემფასებლების მონიტორინგი

13.1 საკ-ი ახორციელებს ტექნიკური შემფასებლების და ექსპერტების მონიტორინგს, წელიწადში ერთხელ რათა დაადასტურონ მათი კვალიფიკაციისა და გამოცდილების კომპეტენცია შეფასების პროცესში. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ პროცედურა MP-05.

13.2 შემფასებელმა, რომელსაც 2 წლის განმავლობაში მონაწილეობა არ მიუღია არც შეფასებაში და არც გამოცდილების გაზიარების შეხვედრაში, შეფასებაში ჩართვამდე უნდა გაიაროს „სპეციალური სასწავლო კურსი“ კონკრეტული სტანდარტთან მიმართებაში.

13.3 წამყვანი შემფასებელი, რომელსაც 2 წლის განმავლობაში შეფასებაში მონაწილეობა არ მიუღია წამყვანი შემფასებლის სტატუსით, მომდევნო შეფასებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს წამყვანი შემფასებლის ასისტენტის სტატუსით. თუ, შეფასებაში მონაწილეობა წამყვანი შემფასებლის სტატუსით არ განხორციელებულა 5 წლის განმავლობაში, უნდა განხორციელდეს წამყვანი შემფასებლის ხელახალი ტრენინგი.

13.4 გენერალური დირექტორის ან ხარისხის მენეჯერის გადაწყვეტილებით შესაძლოა განხორციელდეს შემფასებელთა არაგეგმიური მონიტორინგი.

14. სასწავლო კურსის მონახაზი პირველადი კვალიფიკაციისათვის

14.1 შემდეგი სასწავლო კურსის მონახაზი შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც საფუძველი ორგანიზებული, ასევე ინდივიდუალური სასწავლო კურსებისათვის. ორგანიზებულ კურსებს უნდა დაესწროს მაქსიმუმ 20 ადამიანი. ტრენერები ცალკეული თემების მიხედვით მოცემულია დანართში III.

14.2 აუცილებელი საორგანიზაციო საკითხების ჩამონათვალი ტრენინგებისა და სემინარებისათვის და ასევე იმ დოკუმენტების ჩამონათვალი რომელიც უნდა გადაეცეს ტრენინგებში მონაწილეებს მოცემულია ფორმა F-MP-04-06.

14.3 ინდივიდუალური სასწავლო კურსი გულისხმობს 1 ან 2 კანდიდატის ერთდროულად სწავლებას. სწავლება კანდიდატებისათვის უნდა ჩატარდეს ერთდროულად. ამ შემთხვევაში



აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი მის: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42ა	აკრედიტაციის ცენტრის შემფასებელთა ტრენინგის, კვალიფიკაციის მინიჭების და შენარჩუნების პროცედურა MP-04	გვერდების რაოდენობა: 13/55 გამოცემა: 3 გადახედვა: 0 სტატუსი: 25.08.2016
---	---	---

სასწავლო მასალა გადაეცემა კანდიდატს, რომელსაც ისინი ესაჭიროება პირადი სწავლებისათვის.

14.4 სასწავლო კურსის მონახაზის ზოგიერთი თემა განიხილება დანიშნულ ტრენინგთან ერთად ინდივიდუალური სესიების განმავლობაში. სასწავლო კურსის მონახაზი გამოიყენება სასწავლო სესიების დოკუმენტირებისათვის.

14.5 საერთაშორისო პროექტების, საერთაშორისო აკრედიტაციის ორგანიზაციების ან/და MLA/MRA ხელმომწერების მიერ განხორციელებული ტრენინგები სპეციფიკური სტანდარტების მიხედვით ჩაითვლება რელევანტურად შემფასებლების კვალიფიკაციისათვის.

დანართი I

1. ძირითადი სასწავლო კურსი ყველა შემფასებლისათვის

(ხანგრძლივობა 2 დღე)

#	თემა	ტრენინგი	კურსის შემოთავაზ ებული დრო (საათებში)	ინდივიდუალური სასწავლო კურსის	
				თარიღი	ტრენინგის ხელმოწერა
1.1	მისალმება და შესავალი საკ-ის მიმოხილვა		0,5		
1.2	საკ-ის ხარისხისადმი მიდგომა		0,5		
1.3	საერთო შესავალი QA და QC კონცეფციები და მათი მნიშვნელობა, განსაკუთრებით საქართველოს ბაზარზე. აკრედიტაციის განვითარება. EA-ს, EC-ს და EFTA-ს, ILAC-ის, IAF-ის, EC-ს დოკუმენტები, როგორც ახალი მიდგომა, გლობალური მიდგომა, ახალი საკანონმდებლო ბაზა და ა.შ.		0,5		
1.4	ინფორმაცია საკ-ის საქმიანობის, მარეგულირებელი ბაზის შესახებ აკრედიტაციის კანონმდებლობა, ჩარჩო დებულება (საკ-ის მომხმარებელთან დაკავშირებული პროცედურები), საერთაშორისო არეალი.		0,5		
1.5	აკრედიტაციის ორგანო, პროცედურები და აკრედიტაციის სქემა. შესავალი აკრედიტაციის სქემასა და ზოგადად აკრედიტაციაში. სტრუქტურა, დაკომპლექტება, აკრედიტაციის ორგანოს ზოგადი პროცედურები და მისი ურთიერთობები გარე, ეროვნულ და საერთაშორისო ორგანოებთან, მათ შორის სერტიფიკაციის ორგანოებთან და სხვა დამამოწმებელ ორგანოებთან;		1		
1.6	აკრედიტაციის კრიტერიუმების განხილვა სსტ ისო/იეკ 17011 სსტ ისო/იეკ 17020, სსტ ისო/იეკ 17021, სსტ ისო/იეკ 17024, სსტ ისო/იეკ 17025, სსტ ისო/იეკ სახელმძღვანელო 65, სსტ ისო 15189. EA-2/13, EA 2/11, EA პოლიტიკის შესაბამისობის შეფასების სქემების, IAF, EA -ს		2		



აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი მის: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42ა	აკრედიტაციის ცენტრის შემფასებელთა ტრენინგის, კვალიფიკაციის მინიჭების და შენარჩუნების პროცედურა MP-04	გვერდების რაოდენობა: 14/55 გამოცემა: 3 გადახედვა: 0 სტატუსი: 25.08.2016
---	---	---

#	თემა	ტრენერი	კურსის შემოთავაზ ებული დრო (საათებში)	ინდივიდუალური სასწავლო კურსის	
				თარიღი	ტრენერის ხელმოწერა
	სახელმძღვანელოები ევროკავშირის რეგულაციები აკრედიტაცია შეტყობინების მიზნებისათვის.				
1.7	ძირითადი მოთხოვნები აკრედიტაციის ორგანოებისათვის (სსტ ისო/იეკ 17011)		1		
1.8	საკ-ის ხარისხის სისტემის მიმოხილვა, ხარისხის სახელმძღვანელო, აკრედიტაციის პროცედურა		1		
1.10	პროცედურები შიდა აუდიტებისა და განხილვების შესრულებისთვის. მოიცავს უკვე შესრულებული შიდა აუდიტის ჩანაწერებს, ასევე მოიცავს მიმოხილვით შეხვედრებს		1		
1.11	შეფასების ადამიანური ასპექტები - შეფასების ჩატარებისათვის საჭირო ტექნიკა სამუშაო მეთოდის და შშო-ს საკუთარ პროცედურებთან და აკრედიტაციის კრიტერიუმებთან შესაბამისობის ხარისხის დანერგვისათვის. - რჩევა კომინიკაციისკომუნიკაციის მეთოდების - ტექნიკის შესახებ; გამოცდილება, შესაძლებლობები საჭირო ინფორმაციის ობიექტურად, მეგობრულად და პროფესიონალურად შეგროვებისათვის; - ინტერესთა კონფლიქტი და ეთიკასთან დაკავშირებული საკითხები.		2		
1.12	ადმინისტრაციული და წინასწარი შეფასების პროცედურები: - განაცხადის, თანდართული დოკუმენტაციის განხილვა, შეფასების ჯგუფის შერჩევა და დანიშვნა; - ლაბორატორიის მენეჯმენტის სისტემის დოკუმენტაციის და წინასწარი ჩანაწერების განხილვა (დოკუმენტაციის განხილვა); წინასწარი ვიზიტი და ანგარიშები; - მომზადება შეფასებისათვის		1		
1.13	შეფასების ჩატარება: - მიზანი და ტიპი - შედეგები შემფასებელთათვის; - შეფასების პროგრამის და დღის წესრიგის მომზადება. - შეფასების ჯგუფის მიერ ინფორმაციული თათბირის ჩატარება; - შეხვედრის გახსნა, საწყისი შეკრება; - ხარისხის სისტემის შემოწმება, ინფორმაციის შეგროვება და დაკვირვებების ჩაწერა; - შემფასებლების როლი; - მენეჯმენტის სისტემის დოკუმენტაციის შეფასება; - ტექნიკური კომპეტენტურობის შეფასება;		2		



აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი მის: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42ა	აკრედიტაციის ცენტრის შემფასებელთა ტრენინგის, კვალიფიკაციის მინიჭების და შენარჩუნების პროცედურა MP-04	გვერდების რაოდენობა: 15/55 გამოცემა: 3 გადახედვა: 0 სტატუსი: 25.08.2016
---	---	---

#	თემა	ტრენერი	კურსის შემოთავაზ ებული დრო (საათებში)	ინდივიდუალური სასწავლო კურსის	
				თარიღი	ტრენერის ხელმოწერა
	- კომპიუტერების და კომპიუტერული პროგრამების გამოყენების გადამოწმება; - შემაჯამებელი შეხვედრა და შემფასებელთა ჯგუფის მიერ შეუსაბამოების წარდგენა განმცხადებლისათვის; - ღონისძიებები, ქმედებები შეფასების შემდეგ; - აკრედიტაციის მინიჭებაზე გადაწყვეტილების მიღება; - ზედამხედველობა და გეგმიური მონიტორინგი;				
1.14	დაკვირვებების და შეუსაბამოების წარმოდგენა		1		
1.12	სხვა ტრენინგები		0,25		

2. სპეციალური სასწავლო კურსი ლაბორატორიის შეფასებისათვის (სსტ ისო/იეკ 17025).

(ხანგრძლივობა 2 დღე)

	თემა	ტრენერი	კურსის შემოთავაზ ებული დრო (საათებში)	ინდივიდუალური სასწავლო კურსის დოკუმენტაცია	
				თარიღი	ტრენერის ხელმოწერა
2.1	მისალმება და შესავალი საკ-ის მიმოხილვა		0,5		
2.2	სპეციალური ასპექტები საგამოცდო და საკალიბრებელი ლაბორატორიების ხარისხის მენეჯმენტის სისტემისათვის სსტ ისო/იეკ 17025-ის მიხედვით.		1		
2.3	სსტ ისო/იეკ 17025 და მისი გამოყენება საგამოცდო და საკალიბრებელი ლაბორატორიების სპეციალურ სფეროებში, ინფორმაცია სსტ ისო 15189-ის შესახებ.		1		
2.4	დაკალიბრება და მიკვლევადობა, დაკალიბრების იერარქია, განუსაზღვრელობა.		1		
2.5	მაგალითები, როდესაც მიკვლევადობა განსხვავებულია ან არ არის შესაძლებელი (ქიმიური, ბიოლოგიური). მითითებული მასალების გამოყენება და ხარისხის კონტროლის საზომები, ღონისძიებები.		1		
2.6	საკვალიფიკაციო გამოცდა და ლაბორატორიათაშორის გამოცდები.		0,5		
	საკვალიფიკაციო ტესტირებისა და ლაბორატორიათაშორის გამოცდების შედეგების შეფასება		0,5		

	თემა	ტრენერი	კურსის შემოთავაზ ებული დრო (საათებში)	ინდივიდუალური სასწავლო კურსის დოკუმენტაცია	
				თარიღი	ტრენერის ხელმოწერა
2.7	ვალიდაციის მეთოდი და დამოწმება.		0,5		
2.8	დოკუმენტირებული გამოცდის პროცედურების და მისი ვალიდაციის შეფასება.		0,5		
2.9	ტექნიკური კომპეტენტურობის შეფასება - ეს შეიძლება მოითხოვდეს ტექნიკური შემფასებლების გასაუბრებას ლაბორატორიის თანამშრომლებთან, მათ მიერ განხორციელებულ სამუშაოზე დაკვირვებას და გამოცდის პროცესის ყველა ასპექტის გაცნობას: ნიმუშის მომზადება, აღჭურვილობა და გარემო, გამოყენებული მეთოდები, ვალიდირებული მეთოდი, სტანდარტები, დაკალიბრება, მითითებული მასალები, ჩანაწერები და ანალიზები, ხარისხის კონტროლი და წარმოდგენილი პროცედურები.		1		
2.10	კომპიუტერების და კომპიუტერული პროგრამების გამოყენების გადამოწმება.		1		
2.11	ლაბორატორიებიდან მიღებული შედეგების შეფასება.		1		
2.12	საკალიბრებელი ლაბორატორია - მიკკლევადობის ჯაჭვის გაგება, რეალიზაცია; - გაზომვის განუსაზღვრელობის გამოანგარიშება; - დაკალიბრების სერტიფიკატების შინაარსი; - ლაბორატორიათშორის გამოცდებში მონაწილეობის შედეგები თითოეულ რაოდენობაში.		1		
2.13	აკრედიტაციის ცენტრის მიერ შემუშავებული „კითხვარის“ (გადასამოწმებელი საკითხების ჩამონათვალის) გამოყენება.		1		
2.14	აკრედიტაციის ცენტრის შეფასების ანგარიშის ფორმების/„კითხვარის“ (გადასამოწმებელი საკითხების ჩამონათვალის) გამოყენება.		1		
2.15	სპეციალური მოთხოვნები ტექნიკური კომიტეტის მიერ განსაზღვრულ შესაბამის სფეროებში.		1		
2.16	სასწავლო, ფიქტიური შეფასება (პრაქტიკული მაგალითის განხილვა წარმოსახვითი, არანამდვილი ლაბორატორიის შეფასებისათვის აკრედიტაციის კრიტერიუმების მიხედვით, თითოეული ჯგუფის მიერ ანგარიშის წარმოდგენა მენეჯმენტის		2		



აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი მის: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42ა	აკრედიტაციის ცენტრის შემფასებელთა ტრენინგის, კვალიფიკაციის მინიჭების და შენარჩუნების პროცედურა MP-04	გვერდების რაოდენობა: 17/55 გამოცემა: 3 გადახედვა: 0 სტატუსი: 25.08.2016
---	---	---

	თემა	ტრენერი	კურსის შემოთავაზ ებული დრო (საათებში)	ინდივიდუალური სასწავლო კურსის დოკუმენტაცია	
				თარიღი	ტრენერის ხელმოწერა
	მხრივ შეფასების შედეგების და შეუსაბამოების იდენტიფიცირებასთან ერთად)				
2.17	კითხვა-პასუხის რეჟიმი		0,5		

3. სპეციალური სასწავლო კურსი სამედიცინო ლაბორატორიების შეფასებისათვის (სსტ ისო 15189)
(ხანგრძლივობა 2 დღე)

	თემა	ტრენერი	კურსის შემოთავაზ ებული დრო (საათებში)	ინდივიდუალური სასწავლო კურსის დოკუმენტაცია	
				თარიღი	ტრენერის ხელმოწერა
3.1	მისაღება და შესავალი საკ-ის მიმოხილვა		0,5		
3.2	შესავალი. სამედიცინო სფეროში გამოყენებული სტანდარტები (ISO/IEC 17025, ISO 15189, GLP და სხვ.)		1		
3.3	ISO 15189. მოთხოვნები მენეჯმენტისადმი ორგანიზება და მართვა, ხარისხის მართვის სისტემა, დოკუმენტების კონტროლი, კონტრაქტების გადახედვა, ეტალონური ლაბორატორიების მიერ შემოწმება		1		
3.4	ISO 15189. მოთხოვნები მენეჯმენტისადმი გარე სერვისები და რესურსები საკონსულტაციო სერვისები, საჩივრების განხილვა შეუსაბამოების გამოვლენა და კონტროლი, გამოსწორების დონისძიებები, პროფილაქტიკური დონისძიებები უწყვეტი გაუმჯობესება		1		
2.5	ხარისხის და ტექნიკური ჩანაწერები, შიდა აუდიტები და მენეჯმენტის გადახედვა		1		
3.6	ISO 15189 ტექნიკური მოთხოვნები პერსონალი, შენობა და გარემო პირობები,		0,5		
	ISO 15189 ტექნიკური მოთხოვნები ლაბორატორიული აპარატურა, შემოწმების წინა პროცედურები		0,5		
3.9	ISO 15189 ტექნიკური მოთხოვნები შემოწმების პროცედურები, შემოწმების		1		



აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული
ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი
მის: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42ა

აკრედიტაციის ცენტრის შემფასებელთა
ტრენინგის, კვალიფიკაციის მინიჭების
და შენარჩუნების პროცედურა

MP-04

გვერდების რაოდენობა:
18/55
გამოცემა: 3
გადახედვა: 0
სტატუსი: 25.08.2016

	თემა	ტრენერი	კურსის შემოთავაზ ებული დრო (საათებში)	ინდივიდუალური სასწავლო კურსის დოკუმენტაცია	
				თარიღი	ტრენერის ხელმოწერა
	პროცედურის ხარისხის უზრუნველყოფა,				
3.10	ISO 15189 ტექნიკური მოთხოვნები შემოწმების შემდგომი პროცედურები, შედეგების ანგარიშგება		1		
3.11	ლაბორატორიებიდან მიღებული შედეგების შეფასება.		1		
	-		1		
3.13	აკრედიტაციის ცენტრის მიერ შემუშავებული „კითხვარის“ (გადასამოწმებელი საკითხების ჩამონათვალის) გამოყენება.		1		
3.14	აკრედიტაციის ცენტრის შეფასების ანგარიშის ფორმების/„კითხვარის“ (გადასამოწმებელი საკითხების ჩამონათვალის) გამოყენება.		1		
			1		
3.16	სასწავლო, ფიქტიური შეფასება (პრაქტიკული მაგალითის განხილვა წარმოსახვითი, არანამდვილი ლაბორატორიის შეფასებისათვის აკრედიტაციის კრიტერიუმების მიხედვით, თითოეული ჯგუფის მიერ ანგარიშის წარმოდგენა მენეჯმენტის მხრივ შეფასების შედეგების და შეუსაბამობების იდენტიფიცირებასთან ერთად)		2		
3.17	კითხვა-პასუხის რეჟიმი		0,5		

4. სპეციალური სასწავლო კურსი ინსპექტირების ორგანოს შეფასებისათვის (სსტ ისო/იეკ 17020).

(ხანგრძლივობა 2 დღე)

	თემა	ტრენერი	კურსის შემოთავაზ ებული დრო (საათებში)	ინდივიდუალური სასწავლო კურსის დოკუმენტაცია	
				თარიღი	ტრენერის ხელმოწერა
4.1	მისალმება და შესავალი საკ-ის მიმოხილვა		0,5		
4.2	სპეციალური ასპექტები ინსპექტირების ორგანოების ხარისხის მენეჯმენტის სისტემისათვის ისო/იეკ 17020-ის მიხედვით		1		
4.3	ისო/იეკ 17020 და მისი გამოყენება სპეციფიკურ სფეროებში		1		
4.4	ინსპექტირების ორგანოების ტიპები		0,5		



აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი მის: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42ა	აკრედიტაციის ცენტრის შემფასებელთა ტრენინგის, კვალიფიკაციის მინიჭების და შენარჩუნების პროცედურა MP-04	გვერდების რაოდენობა: 19/55 გამოცემა: 3 გადახედვა: 0 სტატუსი: 25.08.2016
---	---	---

	თემა	ტრენერი	კურსის შემოთავაზ ებული დრო (საათებში)	ინდივიდუალური სასწავლო კურსის დოკუმენტაცია	
				თარიღი	ტრენერის ხელმოწერა
4.5	ინსპექტირების ორგანოს პერსონალის დამოუკიდებლობა და კვალიფიკაცია		0,5		
4.6	მთავარი ადგილმდებარეობის შეფასება; ინსპექტორებზე დაკვირვება		1		
4.7	დაკალიბრება და მიკვლევადობა		1		
4.8	მაგალითები, როდესაც მიკვლევადობა განსხვავებულია ან არ არის შესაძლებელი (ქიმიური, ბიოლოგიური). მითითებული მასალების გამოყენება და ხარისხის კონტროლის საზომები;		1		
4.9	ვალიდაციის მეთოდი და დამოწმება		0,5		
4.10	დოკუმენტირებული ინსპექტირების პროცედურების შეფასება		1		
4.11	ტექნიკური კომპეტენტურობის შეფასება - ეს შეიძლება მოითხოვდეს ტექნიკური შემფასებლების გასაუბრებას ინსპექტირების ორგანოს თანამშრომლებთან, მათ მიერ განხორციელებულ ინსპექტირებაზე დაკვირვებას და ინსპექტირების პროცესის ყველა ასპექტის გაცნობას: ნიმუშის მომზადება, აღჭურვილობა და გარემო, გამოყენებული მეთოდები, ვალიდირებული მეთოდი, სტანდარტები, დაკალიბრება, მითითებული მასალები, ჩანაწერები და ანალიზები, ხარისხის კონტროლი და წარმოდგენილი პროცედურები.		1		
4.12	კომპიუტერების და კომპიუტერული პროგრამების გამოყენების გადამოწმება		0,5		
4.13	ინსპექტირების ორგანოებიდან მიღებული შედეგების შეფასება		1		
4.14	აკრედიტაციის ცენტრის მიერ შემუშავებული „კითხვარის“ (გადასამოწმებელი საკითხების ჩამონათვალის) გამოყენება		1		
4.15	აკრედიტაციის ცენტრის შეფასების ანგარიშის ფორმების/„კითხვარის“ (გადასამოწმებელი საკითხების ჩამონათვალის) გამოყენება		1		
4.16	სპეციალური მოთხოვნები ტექნიკური კომიტეტის მიერ განსაზღვრულ შესაბამის სფეროებში		2		
4.17	სასწავლო, ფიქტიური შეფასება (პრაქტიკული მაგალითის განხილვა წარმოსახვითი, არანამდვილი		2		



აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი მის: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42ა	აკრედიტაციის ცენტრის შემფასებელთა ტრენინგის, კვალიფიკაციის მინიჭების და შენარჩუნების პროცედურა MP-04	გვერდების რაოდენობა: 20/55 გამოცემა: 3 გადახედვა: 0 სტატუსი: 25.08.2016
---	---	---

	თემა	ტრენერი	კურსის შემოთავაზ ებული დრო (საათებში)	ინდივიდუალური სასწავლო კურსის დოკუმენტაცია	
				თარიღი	ტრენერის ხელმოწერა
	ინსპექტირების ორგანოს შეფასებისათვის აკრედიტაციის კრიტერიუმების მიხედვით, თითოეული ჯგუფის მიერ ანგარიშის წარმოდგენა მენეჯმენტის მხრივ შეფასების შედეგების და შეუსაბამოების იდენტიფიცირებასთან ერთად)				
4.18	კითხვა-პასუხის რეჟიმი		0,5		

5. სპეციალური სასწავლო კურსი პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანოს შეფასებისათვის (სსტ ისო/იეკ 17065).

(ხანგრძლივობა 2 დღე)

	თემა	ტრენერი	კურსის შემოთავაზ ებული დრო (საათებში)	ინდივიდუალური სასწავლო კურსის დოკუმენტაცია	
				თარიღი	ტრენერის ხელმოწერა
5.1	მისაღება და შესავალი საკ-ის მიმოხილვა		0,5		
5.2	პროდუქტის სერტიფიკაციასთან დაკავშირებული ევროპული ტექნიკური რეგულაციები CE მარკირება, მოდულები CE მარკირებისათვის		1		
5.3	ისო/იეკ 17065, ისო/იეკ სახელმძღვანელო 17065 და მისი გამოყენება პროდუქტის სერტიფიკაციის სპეციალურ სფეროებში პროდუქტის სერტიფიკაციასთან დაკავშირებული ისო/იეკ-ის სხვა სახელმძღვანელოები		2		
5.4	სერტიფიკაციის ორგანოს პერსონალის დამოუკიდებლობა და კვალიფიკაცია		1		
5.5	დაკალიბრება და მიკვლევადობა		1		
5.6	მაგალითები, როდესაც მიკვლევადობა განსხვავებულია ან არ არის შესაძლებელი (ქიმიური, ბიოლოგიური). მითითებული მასალების გამოყენება და ხარისხის კონტროლის საზომები;		1		
5.7	დოკუმენტირებული პროცედურების შეფასება		1		
5.8	ტექნიკური კომპეტენტურობის		1		

აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი მის: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42ა	აკრედიტაციის ცენტრის შემფასებელთა ტრენინგის, კვალიფიკაციის მინიჭების და შენარჩუნების პროცედურა MP-04	გვერდების რაოდენობა: 21/55 გამოცემა: 3 გადახედვა: 0 სტატუსი: 25.08.2016
---	---	---

	თემა	ტრენერი	კურსის შემოთავაზე ბული დრო (საათებში)	ინდივიდუალური სასწავლო კურსის დოკუმენტაცია	
				თარიღი	ტრენერის ხელმოწერა
	შეფასება - ეს შეიძლება მოითხოვდეს ტექნიკური შემფასებლების გასაუბრებას სერტიფიკაციის ორგანოს თანამშრომლებთან, მათ მიერ განხორციელებულ პროდუქტის სერტიფიკაციის პროცესზე დაკვირვებას და სერტიფიკაციის პროცესის ყველა ასპექტის გაცნობას: აღჭურვილობა და გარემო, გამოყენებული მეთოდები, ვალიდირებული მეთოდი, სტანდარტები, დაკალიბრება, მითითებული მასალები, ჩანაწერები და ანალიზები, ხარისხის კონტროლი და წარმოდგენილი პროცედურები.				
5.9	კომპიუტერების და კომპიუტერული პროგრამების გამოყენების გადამოწმება		1		
5.10	სერტიფიკაციის ორგანოებიდან მიღებული შედეგების შეფასება		1		
5.11	აკრედიტაციის ცენტრის მიერ შემუშავებული „კითხვარის“ (გადასამოწმებელი საკითხების ჩამონათვალის) გამოყენება		1		
5.12	აკრედიტაციის ცენტრის შეფასების ანგარიშის ფორმების/„კითხვარის“ (გადასამოწმებელი საკითხების ჩამონათვალის) გამოყენება		1		
5.13	სპეციალური მოთხოვნები ტექნიკური კომიტეტის მიერ განსაზღვრულ შესაბამის სფეროებში		1		
5.15	სასწავლო, ფიქტიური შეფასება (პრაქტიკული მაგალითის განხილვა წარმოსახვითი, არანამდვილი სერტიფიკაციის ორგანოს შეფასებისათვის აკრედიტაციის კრიტერიუმების მიხედვით, თითოეული ჯგუფის მიერ ანგარიშის წარმოდგენა მენეჯმენტის მხრივ შეფასების შედეგების და შეუსაბამოების იდენტიფიცირებასთან ერთად)		2		
5.16	კითხვა-პასუხის რეჟიმი		0,5		

6. სპეციალური სასწავლო კურსი მენეჯმენტის სისტემის სერტიფიკაციის ორგანოების შეფასებისათვის
(სსტ ისო/იეკ 17021)
(ხანგრძლივობა 2 დღე)



აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი მის: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42ა	აკრედიტაციის ცენტრის შემფასებელთა ტრენინგის, კვალიფიკაციის მინიჭების და შენარჩუნების პროცედურა MP-04	გვერდების რაოდენობა: 22/55 გამოცემა: 3 გადახედვა: 0 სტატუსი: 25.08.2016
--	--	--

#	თემა	ტრენერი	კურსის შემოთავაზებ ული დრო (საათებში)	ინდივიდუალური სასწავლო კურსის დოკუმენტაცია	
				თარიღი	ტრენერის ხელმოწერა
6.1	მისაღმება და შესავალი საკ-ის მიმოხილვა		0,5		
6.2	სპეციალური ასპექტები სერტიფიკაციის ორგანოების ხარისხის მენეჯმენტის სისტემისათვის ენ ისო/იეკ 17021-ის მიხედვით		1		
6.3	მენეჯმენტის სისტემების სხვადასხვა ტიპები (შემდეგი დოკუმენტების და სახელმძღვანელოების მიხედვით მიხედვით): - ისო 9001 ხარისხი; - ისო 14001 გარემოს დაცვა; - ისო 22000 საკვების უსაფრთხოება; - OHSAS 18001 სამუშაო გარემო და ჯანმრთელობა; - ისო 27001 ინფორმაციული უსაფრთხოება; - ისო 13485 სამედიცინო მოწყობილობები; - ისო 19011; - ისო/ტს 22003; - ისო/იეკ 27006 IAF/EA-ს შესაბამისი დოკუმენტები და სახელმძღვანელოები.		2		
6.4	სერტიფიკაციის ორგანოს პერსონალის დამოუკიდებლობა და კვალიფიკაცია		1		
6.6	ტექნიკური კომპეტენტურობის შეფასება - ეს შეიძლება მოითხოვდეს ტექნიკური შემფასებლების გასაუბრებას სერტიფიკაციის ორგანოს თანამშრომლებთან, მათ მიერ განხორციელებულ სერტიფიკაციის პროცესზე დაკვირვებას და სერტიფიკაციის პროცესის ყველა ასპექტის გაგნობას: აღჭურვილობა და გარემო, გამოყენებული მეთოდები, ვალიდირებული მეთოდი, სტანდარტები, დაკალიბრება, მითითებული მასალები, ჩანაწერები და ანალიზები, ხარისხის კონტროლი და წარმოდგენილი პროცედურები.		1		
6.7	შეფასების პერიოდში შემფასებლების დაკვირვება		2		
6.8	კომპიუტერების და კომპიუტერული პროგრამების გამოყენების გადამოწმება		1		
6.9	სერტიფიკაციის ორგანოებიდან მიღებული შედეგების შეფასება		1		
6.10	აკრედიტაციის ცენტრის მიერ შემუშავებული „კითხვარი“-ს (გადასამოწმებელი საკითხების		1		



აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი მის: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42ა	აკრედიტაციის ცენტრის შემფასებელთა ტრენინგის, კვალიფიკაციის მინიჭების და შენარჩუნების პროცედურა MP-04	გვერდების რაოდენობა: 23/55 გამოცემა: 3 გადახედვა: 0 სტატუსი: 25.08.2016
---	---	---

#	თემა	ტრენერი	კურსის შემოთავაზებ ული დრო (საათებში)	ინდივიდუალური სასწავლო კურსის დოკუმენტაცია	
				თარიღი	ტრენერის ხელმოწერა
	ჩამონათვალის) გამოყენება				
6.11	აკრედიტაციის ცენტრის შეფასების ანგარიშის ფორმების/„კითხვარის“ (გადასამოწმებელი საკითხების ჩამონათვალის) გამოყენება		1		
6.12	სპეციალური მოთხოვნები ტექნიკური კომიტეტის მიერ განსაზღვრულ შესაბამის სფეროებში		1		
6.13	სასწავლო, ფიქტიური შეფასება (პრაქტიკული მაგალითის განხილვა წარმოსახვითი, არანამდვილი სერტიფიკაციის ორგანოს შეფასებისათვის აკრედიტაციის კრიტერიუმების მიხედვით, თითოეული ჯგუფის მიერ ანგარიშის წარმოდგენა მენეჯმენტის მხრივ შეფასების შედეგების და შეუსაბამობების იდენტიფიცირებასთან ერთად)		2		
6.14	კითხვა-პასუხის რეჟიმი		0,5		

7. სპეციალური სასწავლო კურსი პერსონალის სერტიფიკაციის ორგანოების შეფასებისათვის (სსტ ისო/იეკ 17024)

(ხანგრძლივობა 2 დღე)

	თემა	ტრენერი	კურსის შემოთავაზებ ული დრო (საათებში)	ინდივიდუალური სასწავლო კურსის დოკუმენტაცია	
				თარიღი	ტრენერის ხელმოწერა
7.1	მისაღება და შესავალი საკ-ის მიმოხილვა		0,5		
7.2	სპეციალური ასპექტები სერტიფიკაციის ორგანოების ხარისხის მენეჯმენტის სისტემისათვის ენ ისო/იეკ 17024-ის მიხედვით		1		
	მაგალითები პერსონალის სერტიფიკაციის სქემებისათვის: - უძრავი ქონების შემფასებელი; - საკადასტრო სამუშაოები - საჯარო რეესტრის სისტემის ავტორიზებული მომხმარებლები - NDT – EN 473 - შემდუღებლები EN, ISO - ხარისხის		2		



აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი მის: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42ა	აკრედიტაციის ცენტრის შემფასებელთა ტრენინგის, კვალიფიკაციის მინიჭების და შენარჩუნების პროცედურა MP-04	გვერდების რაოდენობა: 24/55 გამოცემა: 3 გადახედვა: 0 სტატუსი: 25.08.2016
---	---	---

	თემა	ტრენერი	კურსის შემოთავაზე ბული დრო (საათებში)	ინდივიდუალური სასწავლო კურსის დოკუმენტაცია	
				თარიღი	ტრენერის ხელმოწერა
	მენეჯერები/აუდიტორები				
7.3	სერტიფიკაციის ორგანოს პერსონალის დამოუკიდებლობა და კვალიფიკაცია		1		
7.4	ახალი სქემების შექმნის და შეფასების პოლიტიკა		1		
7.5	ტექნიკური კომპეტენტურობის შეფასება - ეს შეიძლება მოითხოვდეს ტექნიკური შემფასებლების გასაუბრებას სერტიფიკაციის ორგანოს თანამშრომლებთან, მათ მიერ განხორციელებულ სერტიფიკაციის პროცესზე დაკვირვებას და სერტიფიკაციის პროცესის ყველა ასპექტის გაცნობას: აღჭურვილობა და გარემო, გამოყენებული მეთოდები, ვალიდირებული მეთოდი, სტანდარტები, დაკალიბრება, მითითებული მასალები, ჩანაწერები და ანალიზები, ხარისხის კონტროლი და წარმოდგენილი პროცედურები		2		
7.6	გამომცდელების დაკვირვება გამოცდის დროს		1		
7.7	კომპიუტერების და კომპიუტერული პროგრამების გამოყენების გადამოწმება		1		
7.8	სერტიფიკაციის ორგანოებიდან მიღებული შედეგების შეფასება		1		
7.9	აკრედიტაციის ცენტრის მიერ შემუშავებული „კითხვარის“ (გადასამოწმებელი საკითხების ჩამონათვალის) გამოყენება		2		
7.10	აკრედიტაციის ცენტრის შეფასების ანგარიშის ფორმების/„კითხვარის“ (გადასამოწმებელი საკითხების ჩამონათვალის) გამოყენება		1		
7.11	სპეციალური მოთხოვნები ტექნიკური კომიტეტის მიერ განსაზღვრულ შესაბამის სფეროებში		1		



აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი მის: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42ა	აკრედიტაციის ცენტრის შემფასებელთა ტრენინგის, კვალიფიკაციის მინიჭების და შენარჩუნების პროცედურა MP-04	გვერდების რაოდენობა: 25/55 გამოცემა: 3 გადახედვა: 0 სტატუსი: 25.08.2016
---	---	---

	თემა	ტრენერი	კურსის შემოთავაზე ბული დრო (საათებში)	ინდივიდუალური სასწავლო კურსის დოკუმენტაცია	
				თარიღი	ტრენერის ხელმოწერა
7.12	სასწავლო, ფიქტიური შეფასება (პრაქტიკული მაგალითის განხილვა წარმოსახვითი, არანამდვილი სერტიფიკაციის ორგანოს შეფასებისათვის აკრედიტაციის კრიტერიუმების მიხედვით, თითოეული ჯგუფის მიერ ანგარიშის წარმოდგენა მენეჯმენტის მხრივ შეფასების შედეგების და შეუსაბამოების იდენტიფიცირებასთან ერთად)		2		
7.13	კითხვა-პასუხის რეჟიმი		0,5		

8. სპეციალური სასწავლო კურსი წამყვანი შემფასებლისათვის (ხანგრძლივობა 1.5 დღე)

კურსის მიზანია სპეციალური ტრენინგის ჩატარება შერჩეული შემფასებლებისათვის (რომელთაც სულ მცირე წარმატებულად აქვთ დასრულებული საკ-ის შემფასებელთა კურსი), მათი მომზადება საკ-ის წამყვანი შემფასებლის მოვალეობების შესრულებისათვის. კურსი შედგება ლექციებისაგან, სავარჯიშოებისა და პრაქტიკული მაგალითებისაგან.

სასწავლო კურსის მონაწილეები - სახელი გვარი:	ხელმოწერა:

(ხანგრძლივობა 1.5 დღე)

	თემა	ტრენერი	კურსის შემოთავაზე ბული დრო (საათებში)	ინდივიდუალური სასწავლო კურსის დოკუმენტაცია	
				თარიღი	ტრენერის ხელმოწერა
8.1	მისალმება და შესავალი საკ-ის მიმოხილვა		0,5		
8.2	აკრედიტაციის პროცესი წამყვანი შემფასებლის თვალსაზრისით		0,5		
8.3	წამყვანი შემფასებლის როლი და პასუხისმგებლობები;		1		


